

შპს “ჯიველი”

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
დასრულებული წლისთვის

შპს 'ჯიველი'-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნები		31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
ფულადი სახსრები		42,019	40,912
სავაჭრო მოთხოვნები	7.1	285,104	368,908
გადახდილი ავანსები		14,582	8,281
სხვა მოთხოვნები	7.2	321,115	506,824
სასაქონლო მატერიალური			
მარაგები	8	971,594	814,698
		1634414	1739623
 <i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	9	4389126	3922735
		4389126	3922735
სულ აქტივები		6023540	5662358

ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი

მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	12	106807	123877
გადასახდელი ხელფასები		44001	33057
მოკლევადიანი სესხები პარტნიორებისგან		10028	10366
გადასახდელი პროცენტები	11.2	2269841	1571623
საგადასახადო ვალდებულებები		15888	0
სხვა ვალდებულებები		3346	4487
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	13		144509

		2449911	1887919
--	--	---------	---------

გრძელვადიანის სესხი პარტნიორიდან	11.1	9435738	8432717
ბანკის სესხი	10	216638	263522

		9652376	8696239
--	--	---------	---------

სულ ვალდებულებები		12102287	10584158
-------------------	--	----------	----------

საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი		14710	14710
დაუფარავი ზარალი		(6,093,457)	(4,936,510)

		(6,078,747)	(4,921,800)
--	--	-------------	-------------

სულ ვალდებულებები და კაპიტალი		(6,023,540)	(5662358)
-------------------------------	--	-------------	-----------

შპს 'ჯიველი'-ს ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

კლიენტებისგან და დებიტორებისგან

მიღებული ფული 1146568

კრედიტორებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები (1246337)

თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები (442865)

გადახდილი პროცენტი (30417)

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან (573051)

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

ძირითადი საშუალებების შეძენა (202833)

გადახდილი თანხები ფინანსურ იჯარაზე (218253)

წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან (421086)

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

სესხის მიღება 1028440

სესხის თანადაფინანსება 34758

სესხის დაფარვა (57414)

სავალუტო კურსის ეფექტი (10540)

წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან 995244

ფულისა და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა 1107

ფულისა და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში 40912

ფულისა და ფულის ექვივალენტების პერიოდის ბოლოს 42019

შპს “ჯიველი“-ს 2018 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება (ხარჯების ფუნქციების მიხედვით)

	შენიშვნები	2018
ამონაგები	3	918576
რეალიზებული პროდუქციის		
თვითღირებულება		(719520)
საერთო მოგება		199056
სხვა შემოსავალი	4	258138
დასაქმებულთა ანაზღაურება		(434715)
იჯარა		(18870)
მიწოდების ხარჯები		(33435)
ცვეთა და ამორტიზაცია		(201624)
საგადასადო ხარჯები		(38619)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები		(120614)
სხვა ხარჯები	6	(34452)
ფინანსური დანახარჯები (საპროცენტო)	5	(752798)
სხვაობა სავალუტო ოპერაციიდან		20986
მოგება დაბეგვრამდე		(1156947)
მოგების გადასახადის ხარჯი		0
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი		(1156947)
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		
წლის დასაწყისში		(4,921,800)
დივიდენდები		0
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		
წლის ბოლოს		(6,078,747)

შპს “ჯიველი“-ს სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2018 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “ჯიველი” ს ძირითადი საქმიანობაა ღვინის წარმოება და რეალიზაცია. საქმიანობის ადგილია თელავი, სოფ. ვარდისუბანი.

საზოგადოების დამფუძნებლები არიან:

ავთანდილ ჭარბაძე	24%
ზურაბ ჭარბაძე	25%
ჯერზი მარიან ბერძი	51%

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS for SMEs) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში: “ლარში”, ხოლო ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული ვალდებულებები წარმოდგენილია აგრეთვე აშშ დოლარშიც.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული

აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური ვადები:

შენობა-ნაგებობები	50 წელი
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა	5-50 წელი
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	2-100 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	2-50 წელი
ტრანსპორტი	5 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების შეფასება, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და მისი მიღებისათვის საჭირო დანახარჯების დამატებით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

მოგების გადასახადი

2017 წლის 01 იანვრიდან მოგების გადასახადის დაბეგვრის მიზნით მოქმედებს ე.წ. “ესტონური მოდელი”, რის მიხედვითაც საწარმო მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა:

- ა) ხდება პარტნიორებზე მოგების განაწილება დიდვიდენდის სახით;
- ბ) გაწეულია ხარჯი ან სხვა გადახდა რაც დაკავშირებული არ არის საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება ან ფულადის სახსრების გადაცემა;
- დ) საგადასახადო კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით წარმომადგენლობითი ხარჯის გაწევა.

3. ამონაგები

2018

ლარი

საქონლის გაყიდვა

918576

4. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალს წარმოადგენს თანადაფინანსებით მიღებული შემოსავლები 34758 ლარი და საკუთარი პროდუქციის ერთობლივ შემოსავალში გადატანით 223380; სულ 258138 ლარი.

5. ფინანსური დანახარჯები

2018

ლარი

ბანკის სესხის პროცენტი

(30417)

პარტნიორიდან მიღებული სესხის

პროცენტი

(706909)

ფინანსური იჯარის პროცენტი

(15472)

(752798)

6. სხვა ხარჯები

სარემონტი ხარჯი

12638

სასწორის დამოწმება

914

ლაბორატორიული მომსახურება

11120

წარმომადგენლობითი ხარჯი

123

საწევროს გადასახადი

680

ჯარიმა

1746

წარმოების დანაკარგი და უსასყმიწოდება

7231

34452

7.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2018	31.12.2017
	ლარი	ლარი
7.1 სავაჭრო დებიტორები	285,104	368,908
7.2 მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	321,115	506824

606219

875732

8.სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	31.12.2018	31.12.207
	ლარი	ლარი
საქონელი და ნედლეული	849024	761763
დაუმთავრებელი წარმოება		
მზა პროდუქცია	122570	52935
	971594	814698

9.ძირითადი საშუალებები

	მიწა; შენობა ნაგებობები; დაუმთავრებ ელი მშენებლობა	არამატერ იალური აქტივი	მანქანა დანადგარე ბი	ტრანსპ ორტი	ოფისის აღჭურვი ლობა; ავეჯი და ინვენტარ ი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყ ობა	სულ
თვითღირებ ულება							
31.12.2017	2391894	763	623535	62795	227041	616707	3922735
შემოსვლა	170233		93239	46318	63298	326141	699229
გასვლა				5046	6519	6804	18369
31.12.2018	2562127	763	716774	104067	283820	936044	4603595
ცვეთა და გაუფასურე ბა	27319		126803	15981	29391	14975	214469
31.12.2018							
საბალანსო ღირებულებ ა	2534808	763	589971	88086	254429	921069	4389126

შენიშვნა: 2018 წელს ცვეთის დარიცხვა განხორციელდა აგრეთვე დაუმთავრებელ მშენებლობაზე, ვინაიდან ფაქტიურად წარმოების პროცესი მიმდინარეობს დაუმთავრებელ შენობა-ნაგებობაში, რომლის 75% დასრულებულია და ცვეთის 25918 ლარის დარიცხვა განხორციელდა პროპორციულად დასრულებული ფართობის ღირებულების შესაბამისად.

10.სესხები ბანკიდან

31.12.2018

ლარი

თიბისი ბანკი

216638

11.ვალდებულებები პარტნიორის მიმართ

31.12.2018

ლარი

11.1 სესხები პარტნიორისგან

9435738

11.2 გადასახდელი პროცენტი

პარტნიორისგან მიღებულ სესხებზე

2269841

11705579

2018 წლის 01.01 მდგომარეობით გრძელვადიანი ვალდებულება პარტნიორის მიმართ იყო:

ა) 457000 აშშ დოლარი

ბ) 2334777 ევრო

ხოლო წლის ბოლოს :

გ) 476947 აშშ დოლარი

დ) 2657614 ევრო

პარტნიორისგან მიღებულ სესხებზე წლიური საპროცენტო განაკვეთია 8%

12. სავაჭრო ვალდებულებები

2018 წლის 31 დეკემბრისთვის სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს 106807 ლარს, ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრისთვის 123877 ლარს.

13. ფინანსური იჯარის ვალდებულება

საწარმოს ოთხწლიანი ფინანსური იჯარით შეძენილი აქვს ჩამოსახმელი ხაზი და მოწყობილობები, რომლის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადა ათი წელია. რომლის გამოსყიდვა დასრულდა 2018 წელს.

14. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

საწარმოს გაფორმებული აქვს ჩვეულებრივი საიჯარო ხელშეკრულებები. ამ იჯარების საშუალო ვადა ერთი წელია და ამავე ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა.

2018

ლარი

ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული

მინიმალური საიჯარო გადასახდელები,

რომლებიც მიმდინარე წელს

აღიარებულია ხარჯად

18870

15. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

2018

ლარი

ფულადი სახსრები საღაროში

41859

ფულადი სახსრები ბანკში

160

42019

ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის თარიღის შემდგომ აღვილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შედგენის თარიღი:

30.09.2019წ

დირექტორი:

/ზ.ჭარბაძე